საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალქალაქის პლატო

ახალქალაქის პლატო, პლატო სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ქედის დასავლეთით.

შემოფარგლულია თრიალეთის, სამსრის, ჯავახეთისა და ნიალისყურის ქედებითა და მტკვრის ზემო ხეობით. სიმაღლე 1500–2000 მ-მდეა. აგებულია ქვედამეოთხეული დოლერიტული ლავებითა და ტბიურ-მდინარეული დანალექებით. პლატოს მთის შავმიწა ნიადაგზე ხარობს მთის სტეპის მცენარეულობა. პლატოზე გაშენებულია ქ-ები: ახალქალაქი, ნინოწმინდა, სოფლები: ალასტანი, ბარალეთი, დილისკა, კარტიკამი, კუმურდო, ხიზაბავრა, ჯიგრაშენი და სხვ.

ლ. მარუაშვილი